

Capacryl Holz-IsoGrund

წყალხსნადი ნივთიერებების შემცველი, გაუფერულებსკენ მიდრეკილი ხის ელემენტების კათიონური იზოლაციისთვის განკუთვნილი საგრუნტავი.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ზედაპირზე კათიონური იზოლაციის ფენის შემქმნელი - საგრუნტავი საფარი. გამოიყენება წყალხსნადი ნივთიერებების შემცველი, გაუფერულებსკენ მიდრეკილი ხის ელემენტებზე (ხეზე დაფუძნებულ მასალებზე) - Capacryl-ის აკრილის ემალებით ან Capadur Wetterschutzfarbe NQG-ით შემდგომი სამუშაოებისთვის საფუძველის შესაქმნელად.

თვისებები

- ეკოლოგიურად უსაფრთხო
- მაღალი ადჰეზიურობის უნარი
- დიფუზიური
- წყალხსნადი ნივთიერებების შემცველი, გაუფერულებსკენ მიდრეკილი ხის ელემენტებზე, ქმნის კათიონური ბლოკირების ეფექტს

მასალის შემკვრელი

ეპოქსიდური ფისოვანი დისპერსია

შეფუთვა

750 მლ, 2,5 ლ., 10 ლ.

ფერი

თეთრი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, დაცავით ყინვისგან.

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 1,3 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ყველა ხის ელემენტი, რომლებიც განკუთვნილია წყალხსნადი აკრილის ემალებით დაფარვისთვის და როდესაც წყალხსნადი ნივთიერებების დაშლისა და ზედა საფარის გაუფერულების რისკი არსებობს. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკეველი ნივთიერებებისაგან. სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და არასტაბილური ზომის მქონე ელემენტების 15%-ს. აუცილებელია ხის კონსტრუქციული დაცვის ძირითადი პრინციპების დაცვა, ისინი წარმოადგენენ შეღებილი ხის ხანგრძლივი დაცვის აუცილებელ პირობას.

ზედაპირის მომზადება

ხის ზედაპირები დამუშავდეს ზუმფარის ქაღალდით ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ბასრი კანტები დაგლუვდეს.



ტექნიკური ინფორმაცია N. 961

დაფარვის სტრუქტურა

Capacryl Holz-IsoGrund-ის დატანა შესაძლებელია Orelmix-ის ფუნჯით ან დაბალ ბუნჯიანი, ლაქებისთვის და ემალებისთვის განკუთვნილი სამლებრო გორგოლაჭით. გამოყენებამდე პროდუქტი კარგად ამოურიეთ და საჭიროების შემთხვევაში გააზავეთ არაუმეტეს 5% წყლით. ხის კომპონენტების მაღალი შემცველობის ელემენტების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს Capacryl Holz-IsoGrund-ის პირველი ფენის გაუფერულება. მნიშვნელოვანია შემდგომი ფენის დატანამდე დაცული იქნას საჭირო შრობის დრო/ინტერვალი (დაახლ. 12 საათი). წყალხსნადი ნივთიერებების მაღალი შემცველობის ხის შემთხვევაში, უნდა მოხდეს Capacryl Holz-IsoGrund-ით ორი საგრუნტავი ფენის დატანა.

ყურადღება: კათიონური ბლოკირების ეფექტის გამო, პროდუქტის წყალდისპერსიულ პროდუქტებთან უშუალო კონტაქტისას, ხდება შეუთავსებლობა.

დაფარვის სისტემა:

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაფუენთვა	გრუნტი	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენი
ნაწილობრივ და არასტანდარტული ზომის ხის ნაწილები	ექსტერიერი	BFS Nr. 18	Capacryl Holz SchutzGrund	Capacryl Holz-IsoGrund1)	Capadur Wetterschutzfarbe NQG	Capadur Wetterschutzfarbe NQG
სტანდარტული ზომის ხის ნაწილები	ექსტერიერი	BFS Nr. 18	Capacryl Holz SchutzGrund	Capacryl Holz-IsoGrund1)	2x Capacryl PU-Vorlack ან 2x Capacryl PU-Satin / PU-Gloss	Capacryl PU-Satin / PU-Gloss
ხის ელემენტები	ინტერიერი	გაიშლიფოს/ გაიწმინდოს	—	Capacryl Holz-IsoGrund1)	საჭიროების შემთხვევაში Capacryl PU-Vorlack	Capacryl PU-Satin / PU-Gloss

1) წყალხსნადი ნივთიერებების შემცველ მერქნის ჯიშებზე გამოიყენეთ ყოველთვის Capacryl Holz-IsoGrund-ი. კოჟრის ადგილები დაფარეთ 2-ჯერ

ხარჯი

დაახლ. 100 – 130 მლ/მ²
ეს მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემოს თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა ხდება მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

- მასალის, ზედაპირის და გარემოს ტემპერატურა: მინ. 8 °C
- შესაბამისი ჰაერის ტენიანობა: ≤ 70 %

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში	ხელის შეხებით	მზად შემდგომი სამუშაოებისთვის	სრულად მშრალი
საათი	დაახლ. 1 – 2	დაახლ. 12	დაახლ. 48

დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები

მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზეგავლენით. გამოიყენეთ შესაბამისი პირადი აღჭურვილობა. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი ორთქლი. არ დაუშვათ პროდუქტის გარემოში დაღვრა. კანთან კონტაქტისას: დაიბანეთ კანი უხვად წლით და საპნით. კანის გაღიზიანების ან გამონაყარის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის ნარჩენით ჩააბარეთ ძველი ლაქების ჩამბარებელ პუნქტში.

VOC

(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

როდუქტის კატეგორია (Kat. A/g): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 30 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი (Giscode)

BSW30

შემადგენლობა

ეპოქსიდური ფისოვანი ეთერი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, ეთერის ალკოჰოლი, გლიკოლის ეთერი, დანამატები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.

შპს. კაპაროლ ჯორჯია

ალ.ქართველიშვილის ქ. N°8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge